

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თავ. ზურან პა-
ტონის სახლებში კლუბის ქვემოდა.
სკელის-მოწერა
მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში,
ქუთაისში: ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გა-
რეუ მცხოვრებთა ადრესი: Вн Тифлиси,
въ редакцію «Дრობის»

«დროების» ფასი
მთელის წლისა. . . 9 მ. სამის თვისა. . . 3 მ.
ქვესის თვისა . . . 5 მ. ერთის თვისა. . . 1 მ.

დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა

დიდის ასოებით — ასოზე ერთი კაპიტანი. ასო-
მთავრულით ასოზე ნახევარი კაპიტანი. ჩვეულებ-
რივის ასოთი სტრიქონზე რვა კაპიტანი.
თუ საქმიანობა მითითდეს, რედაქცია გაას-
წორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავ-
ნილ წერილებს. დაუბეჭდავლ წერილებს რე-
დაქცია ვერ დაუბუნებს ავტორს.
განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და
სხვა ენებზედ.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს ერთი შაური

«დროება» ზირველის ივნისი-
დამ წლის დაძლევაჲდ ღირს ექვსი
(6) მანათი.

«დროების» ნომრები თითო
შაურად იყიდება თბილისს გარდა:
ქუთაისში ჭილაძის მაღა-
ზიაში,

ბათუმში ფეიქროვის თამ-
ბაქოს მაღაზიაში,

გორში სასოკადოების დე-
პოში, ალალო თუთაყვთან.

აქვე მიიღება სკელის-მოწერა.

სტუდენტური

(«ჩრდილოეთ სტუდენტის სააგენტოსია».)

პასტრამა. ევისკოპოსი ეგნატე
გარდაიცვალა.

პარჩი. ფრანკუზები გამაგრდენ
მადაგასკარზედ, ტანანარივა მა-
დალიბო აიდეს; გავსები გაიქცენ.
ტუნისის სამხრეთ დასავლეთის
მხარეს აჯანყებას აპირებენ; ჯა-
რები გაგზავნეს.

კატარაშრლი. გენერალი გურგო
დაინიშნა ვარშავის გენერალ-გუ-
ბერნატორად.

მართებლობა აცხადებს, რომ
მარშან შემოდგომაზედ შინაგან

«დროების» ფელტონი 10 ივნისი.

ქუთაისის ბანკის კრება.

1—3 ივნისს.

მთელი სამი დღე კრება სჯიდა მი-
ნისტრის ქალაქს და მომავალ წლის
ხარჯს (სმეტას) მხოლოდ ოდნავ
შეეხა. ეს ბაასის გაჭინურება, უნ-
და გავტყდეთ, ზოგი თავმჯდომარის
ბრალია, რომელიც ერთსა და იმავე
აზრს ხუთჯერ და ექვსჯერ ამოვრე-
ბინებდა სხვა-და-სხვა პირებს, რო-
მელთაც თითქო ლაპარაკის მადა
თან-და-თან ესხნებოდათ, ზოგი—
ბრალია თითონ კრების წევრთა, რო-
მელთაგანებს ბევრს ეგონა, ოდონდ
ხმა-მაღლა დაიყვირო «დარჩეს» ან
«მოაკლდეს» და მე ჩემსას უსაუოდ
გავიტანო. შემთავრეს დამნაშავედ მე
ჩაეთვალე კრების თავმჯდომარე, მაგ-
რამ ესეც არ უნდა დავიფიქროთ, მის
დანაშაულობის შესამსუბუქებლად,
რომ პარლამენტშიაც გამოცდილ
თავმჯდომარეს გაუჭირდებოდა ზო-
გიერთ წუთს ამ მოუსვენებელის კრე-
ბის კალაპოტში ჩაყენება.

საქმეთა მინისტრმა მოახდინა გან-
კარგულება კალიის გაწვევების შე-
სახებ ასტრახანისა, სამარისა, ვარ-
შავისა, თავრისა, ხერსონისა და
ხარკოვის გუბერნიებში. ამ გაზაფ-
ხულზედ ფელიც გადაიდვა მარ-
თებლობისაგან და ყველგან სას-
ტიკად ებრძვიან კალიას. რომ
უფრო უკეთესად წავიდეს საქმე
და მალე გაწყდეს ეს მავნე მწერი,
იგზავნება ვარშავაში სვიტის გენე-
რალ-მაიორი შებევა.

ტელეგრაფისტი ქალების პენ-
სიის შესახებ მომზადებული პრო-
ექტი შეუტანიათ სახელმწიფო რჩე-
ვაში და მალე განიხილება.

„Новое Время“ გვატყობი-
ნებს, რომ ამას იქით სენატის სა-
ერთო კრების გადაწყვეტილებს
იქნება დაბოლავებითი და სახელ-
მწიფო რჩევაში აღარ გადავა, რო-
მელიც დარჩება მარტო კანონ-
მდებლობით დაწესებულებად.

„Новости“ ამბობს, რომ ნო-
ბელის ამხანაგობას ნება მისცემია
კიდევ სამი მილიონის ობლიგა-
ცია გამოეშვა.

პარშავა. მატყლის იარმეკობა
გათავდა.

ვიშკაშრში. გუმბინ უნივერსი-
ტეტის კლინიკაში პროფესორმა
მიხეილმა გაუკეთა ტოტლებენს
თვალის აპერაცია და იმედია თვა-

მე, რასაკვირველია, ჩემს ფელ-
ტონსაც კრებასავე არ გავადგელებ,
ერთსა და იმავე აზრს აღარ გავიმეო-
რებ, და ვეცდები სამის დღის ნალა-
პარაკევი «დროების» სამს ნახევარ-
გვერდზედ გადმოვცეთ.

1-ლს ივნისს 180-მდე წევრი შე-
იყარა. მათში მრავალია იარაღში
ჩასმული, ყაბალახ-გადაგდებული, სა-
კრებოდ სოფლიდამ განგებ ჩამოსუ-
ლი. ძიღვე რევიზიაზედ ასტეხეს ლა-
პარაკი. წამოდგა სამეგრელოს სული
და გული—მოხუცებული ბახვა შა-
ლავა, ფაფანაკით და ჯვარ-მენდლე-
ბით მორთული და ილაპარაკა რადაც
გაურკვევლად. ისმოდა მხოლოდ,
რომ თითონ კრების რევიზიას არ-
ჩევედა მინისტრის რევიზიას. ძირილგ
ლორთქიფანის რევიზიის იმედი არა
აქვს და დაჯერებულია, რომ მინისტ-
რი კრების რევიზიას ყურადღებას არ
მიაქცევს. ძრებამ განუმარტოს მი-
ნისტრს მხოლოდ ბანკის მდგომარე-
ობა და მინისტრმა მაშინ თითონ
იცის.

აქვს. გამრეკვლია. მინისტრისაგან
გამოგზავნილ ქალაქში ხსენებული

ლი მოურჩება. ტოტლებენი კლი-
ნიკაში დარჩება, მინამ სულ მო-
ურჩება თვალი.

თბილისი, 9 ივნისს.

ლასალის გაცხარებულის ბაასის
შედეგ შელცე-ლეიქთან და იმის
მომხრეებთან, მგონია, მეორედ არას-
ოდეს აღარავის შეუწყებია იმოდე-
ნად არც პოლიტიკური ეკონომისა,
არც სტატისტიკა და არც სხლი კვუა,
რამდენიც ძავეკასიის ტრანზიტზედ ბაა-
სის გამო შეაწყებს თავისუფალ ვა-
ჭრობის და კონკურენციის მომხრენი,
მაგრამ მაინც მეოპოს საქონელს სა-
ქართველოზედ გზა შეეკრა. ძატკოვის
აღმავას სხვა მარტო ძიხარულს მიე-
ცემოდა, რომ თავის მიზანს მიიღწია
და ფულის წადლი მიუტარულდა,
მაგრამ ამ ესრედ წოდებულის, «მცვე-
ლობითი» (охранительная) მიმარ-
თულების ნიჭიერ სარდლის დაკმაყო-
ფილება ყოველად შეუძლებელია. «მო-
სკოვის უწყებები» თავის გამარჯვებით
ვერ დაკმაყოფილდენ და ეხლა თხოუ-
ლობენ არამც თუ ევროპულ საქო-
ნელს საქართველოზედ ნუ გავატა-
რებთო, ბათომის პორტო-ფრანკოც
დავეტოთ, თორემ თუ ევროპულს
გემებს ბათომის ნავთსაყუდელში თავ-
ისუფლად შემოსვლის ნება ექნებათ,
მთელი ძავეკასია კონტრბანდით გაიფ-
სებაო. რასაკვირველია, ძატკოვმა
ჩვენზედ კარგად უნდა იცოდეს, რომ
ბათომის პორტო-ფრანკოს დაკეტვა

საბუთები სუსტია. იმისი რევიზია
ჩვენთვის საჭირო არ არის. (ძალიან
კარგი!)

კარ. ლორთქიფანისძე. ორი რამ
უნდა გკითხო გამოგობას: საზოგადო
კრებამ, მგონია, დააწესა ინსტრუქ-
ცია, როგორც უნდა სწარმოებდეს
ბაასი, რატომ წინა-დღეს ნალაპარა-
კვეს იმავე დღესვე არ გადაწყვეტ
და მეორე დღისთვის რად გადასდებთ
ხლომე. მუშინ გადაწყვეტილი საგა-
ნი დღეს რალად აღძართ. მოგვებზრ-
და ამდენი უკანონობა. მრთმანეროს
ნულარ ვენეტეებით. თუ არ არის ინ-
სტრუქცია, უნდა შევადგინოთ. მე-
ორეც ესა, რატომ ამ საგანზედ გამ-
გობა თავის აზრს არ არდგენს. ეს
ავდებია საზოგადოებისა!

თავმჯდომარე. ამანდ ინსტრუქ-
ციის შედგენა შეუძლებელი. მუ-
შინდელს საგანზედ მე დღეს რომ
კითხვა არ დავადგინე, მე მხოლოდ
გამოგვით შინარსი გუშინდელის
ბაასისა. ამანდ ლაპარაკი დღესაც
შეგიძლიანთ. რაც შეეება გამოგო-
ბაზედ საყვედურს, უნდა მოგახსენოთ
რომ ორი დღეა რაც მივიღეთ ეს ქა-

ბერლინის შეკრულობის (ტრაკტა-
ტის) 59-ის მუხლის დარღვევა იქნე-
ბა, რომელსაც სხვა სახელმწიფოები,
ვისაც მაშინ ბერლინის კონგრესზედ
ხმა ჰქონდა და ამ შეკრულობაზედ
ხელი მოუწერია, არ დასთმობენ,
მაგრამ იმას არავისთან თავაზიანობა
არ უყვარს, როდესაც კი თავისი
აზრის გაყენა ჰსურს. მაინც ბერ-
ლინის შეკრულობის მეთვალყურობა
და პროკურორობის გაწევა ჩვენს
საქმე არ არის; ჩვენ მხოლოდ უნდა
მკითხველებს შევატყობინოთ, რომ მი-
ნამ ტრანზიტის დიკეტებოდა, «მო-
სკოვის უწყებები» იმას ამბობდენ,
ტრანზიტის უნდა დაიკეტოს, რად-
განაც იმის წყალობით მთელი
ძავეკასია კონტრბანდით შემოტანილ
საქონლით იცხება და ხაზინა ზარა-
ლობა, ჩვენ კი სხვა მრავალთა მო-
წინააღმდეგებთან ერთად ვამტკიცებ-
დით, რომ ტრანზიტის დაკეტით
კონტრბანდა არ მოისპობა, უფრო
გამლიერდება. შხლა ძატკოვმაც ფარს
პირი უბრუნა და იმავე კონტრბან-
დის შიშით სხვა მიზანს უნდა მიიღ-
წიოს: მოუწადინებია ბათომის პორ-
ტო-ფრანკო დააკეტინოს. პორტო-
ფრანკოს არსებობა კონტრბანდის
გამლიერებაში არაფერს შუაშია. ტა-
განროგი რომელიღა პორტო-ფრან-
კო იყო, რომ იქაურმა დამოქნის
მოსამსახურებმა, როგორც სასტიკმა
გამოიძიებამ დაამტკიცა, 2,700,000
მან. ასწანეს ხაზინას?

ტრანზიტის დაკეტას ჩვენს ქვე-

ლალდი და გამოგობამ თავის აზრის
შედგენა ვერ მოასწრო.

ნ. ლოლოქიფანისძე. ჩვენ ამ საქმეში
ჯერ არ გვინდოდა გარევა და რად-
გან გვიწვევთ, ჩვენ იმ აზრისანი ვართ,
რომ თქვენვე ამოირჩიოთ კომისია.
თქვენი აზრი უფრო ძვირფასია ჩვენ-
თვის, ვიდრე მინისტრის ჩინოვნიკისა,
მაინცა და მაინც ჩვენ არც ერთის
რევიზიისა არ გვეშინიან (ძალიან
კარგი!)

კარ. ლორთ. ჩვენი აზრი თქვენ-
თვის რასაკვირველია ძვირფასია, მაგ-
რამ საქმე ის არის მინისტრისათვისაც
იქნება ძვირფასი, თუ არა. ჩვენ ზე-
პირად ვიცით, რასაც კომისია იტყ-
ვის. მინისტრი მესამე პირთათვისა
ზრუნავს. უკომისიოდ ეუთხრათ ჩვე-
ნი აზრი და იქნება შეიწყნაროს.

ნ. ლოლო. სჩქარებით პაუზის მი-
ცემა არ იქნება. ახალმა პირებმა გა-
სინჯონ საქმე და ისე მისცენ პასუ-
ხი.

მურ. ლორთქიფანისძე ეთანხმება ნ. ლო-
ლობერიძისაგან გამოთქმულს აზრს.
კ. აბულაძე. ამოვირჩიოთ კომისია,
რომელსაც ნუ ეუწოდებთ სარევიზიო

ყანაში სხვათა შორის ეს შედეგი ექნება, რომ რუსეთის ეპარქიები უფრო ფერხს მოიღვამენ ჩვენში, ეპარქიაში კონკურენცია გაძლიერდება და აქაურ გაუმადლარ ეპარქიებისგან ცარცვა-გლეჯას ცოტათი მაინც ფრთები შეეკვეცება.

მისურვებთ, რომ ეს სიკეთე მაინც მოგვიტანოს ძველის ტრანზიტის გაუქმებამა.

ახალი ამბები.

დეეს, ხუთშაბათს, შუადღის დროს თბილისში მოხდა კავკასიის მთავარ-მმართველი თ. დონდუკოვ-გორსაკოვი.

არავისთვის ისე საჭირო არ არის მთის ხელი იცადეს, ე. ი. უკვლამ მანდუქების შემუშავება, რომელიც მთების გულშია ჩამარხული, მაგრამ ჯერ ჩვენს მხარეში ელემენტარული ცოდნებიც არ გაუფრქვლებიათ. ამ საგნის შესახებ, ბეტრუსუროში ერთად ერთი „ბიურნი ინსტიტუტი“ იყო, რომელშიც ჩვენ-ბურ მისწავლეთ პირველი ალაგი უნდა სჭეროდათ, მაგრამ უკანასკნელსაც არავინ უთმობდა. ესეა კი სასულემწიფო ქაჩუბათა მინისტრის, ვის მსგავსობაას ქვემოც არის ეს ინსტიტუტი, განკარგულა მოუსდეს, რომ იმ კავკასიელ უმაწილებს, რომელნიც უმაღლეს სასწავლებლებში სტიპენდიატებად ინაშენებან და უკანასკნელ იდეებ, გარნი ინსტიტუტშიც მიიღონ უკანასკნელად.

ფინანსთა მინისტრს გამოუცია ცირკულიარი, საიდანაც ვტყუბულობთ, რომ 1 აგვისტოდან 1883 წ. შაქარს ბაჟი დაეკება ფუთხედ 65 კ.

„Юридическое Обозрѣнiе“ გვატყობინებს, რომ სასამართლოს გა-

ურჩევია 30-ს მასის გაკოტრებული ჯან-ჯუღასობების საქმე და უცნობა ისინი შეუძლებელ მოკლედ გაუფთხილებლობის გამა, (несостоятельными должниками неосторожными).

უკვლავ ერთობ გამაჯღერ სხვა-და-სხვა ფულის სასესხებელი გერძო განტარების, რომელნიც ათას ნაირი სრიაკებით სისხლსა სწოვეს თავიანთ მოკვალეებს. ესეა განმარხვა არის, უკველ თვე და თვე რვეინია მოუსდინონ სოლ-მე ამ გასებს.

ქუთაისიდან გვეყენ, რომ თუცა „სამშობლო“ სამჯუღაც გვეხას წინად, მაგრამ წლებულან წარმოდგინეს და ბლომად ხალხი დაესწროთ. ჩვენი კარესმანდები უკვლავ მოთამაშეთ აქებს თითქმის ყველა პეისებში, რაც კი ქუთაისში უთამაშნათ.

სასამართლოს ქრონიკა.

საქმე თ. კ. კრისტავის და ძმანი შაშვი-ოდლების, ბათუმის ქალაქ-ფოროსის ბერსის თავ-დასხმის თაობაზე.

მ. ძოწია თავის წერილში ძალიან ცდილობს, რომ დააჯეროს შატი თავის ქმრის უხეირობაში; ამ წერილის შინაარსიდან სჩანს, რომ ბატ. ბერსს ვერ აუცილებია ძოწიას მომხიზელი საქმეები თავის ცოლისადმი; საკუთარ სახლში მოუხერხებლობის მიზეზით Rendez-vous, სხვა ნაცნობის სახლში ჰქონიათ დანიშნული. ეს წერილი იყო, რომელიც ასე მიიმედ მოუწამლა გული ბ. ბერსს და ბეგუას, თუ ბეგენავას საშუალებით აფიქრებინა ძოწიას ამ ნაირად თავიდან მოცილება—ვითომც და ის უსაბედათ შემოაკვდებოდათ ხელში

კ. აბულაძე. ჩვენ რევიზიზენდ არაფერი ვითქვამს. ბუმინ სხვა გადწყვედა და დღეს სხვასა კითხულობთ.

ხალხში დიდი ჩოჩქოლია. სოლომონ ღუღაძე ამტკიცებს რევიზიის საქმეობას და ლაპარაკობს რალა ცოტახს მილიონ გირაოს ფურცლებზე, რომელნიც გაუყიდავი აწყვია (!).

კირ. ლორთქიფანიძე. რადგან კიდევ აღიძრა ამ საგანზე ლაპარაკი, მაშ ამას ვიტყვი, რომ თუ არ დავიშლიათ, იმ კომისიას, რომელსაც ირჩევთ ორი საქმე მიანდეთ. ჯერ პასუხი გასცეს მინისტრს და მასუკან რევიზია უყოს ბანკს, თორემ თუ რევიზიას მოუყადეთ, ძიელ დაგვიანდება და ბანკი შეჩერებული იქნება. ამ ახირებულ აზრს ზოგნი თანაუგრძნობდენ.

არ უციოთ რამ იმოქმედა ამ დღეს კრებაზედ. ისეთი ცხარე ბასი ასტყდა, რომ აღარავის სიტყვა აღარ ირჩეოდა შემდეგ ზემოხსენებულ შენიშვნებისა. საერთო ყაყანი გაისმოდა მხოლოდ სოლ. ლულოძის ხმა, რომელიც გაჯავრებული იძახდა, თუ ჩემს აზრს არ მიიღებთ, პროტოკოლ-

ყაჩალი ძაკალ-ოღლების დაქერის დროს?!

თუ წარმოვიდგინთ ქალების გულსწრაფობას, ანუ უკეთ ვსთქვათ, სულმოკლეობას და იმასაც, რომ ამ წერილის კითხვის დროს სულ-განაბულინი სმენათ იყენენ გადაქცეულნი, თქვენ წარმოვიდგინთ სურათს ამ წამებისას! მით უმეტესათ, რომ წამები განსაცდელისა და საყურადღებო საგნების დრო ახლოვდება.

ადგი პროკურორი: ხელების სრესით გადმოსცქერის ხალხს; დაიწყო კიდევ! და დაიწყო ამ საქმის დასაწყისის აღწერა, როგორც გამოძიებულს ბერსის აზრისამებ დაუდგენია და გამოუყვლეცია; თუმც ფიცით ნაკითხს მოწმებში ცვლილებას ხედავს მგვრამ, ეს ცვლილებები მისის აზრით იმდენს არაფერს შეადგენს, რომ საძიკველი ამ საქმისა შერყეულ იყოს და მტკიცედ თხოულობს ბრალდებულთ დასჯას, თანხმად შედგენილი „გამამტყუნებელი ფურცლისა“ (Обвинит. актъ) საჭიროდ არ ხედავს, რომ წაკითხულ იქმნას ზოგიერთი ქაღალდები. ბატ. პროკურორი თხოულობს ბრალდებულთ დასჯას, როგორც გაცარცვის მიზნით მკვლელობის გამძრახათვის. პროკურორის სიტყვიდან მაყურებელთ გამოჰყავთ აზრი, რომ: არიან იმისთანა ხალხნიც, რომლებიც თანამდებობის მოთხოვნისამებრ, ფორმალისტობის გულისთვის თავიანთ პირდაპირი შეხედულობის და რწმენის წინააღმდეგ ლაპარაკს ახერხებენ! რა ბატ. პროკურორმა გაათავა თავის მოხსენება სრულ საათის რეგზე; ახლა დრო და ასარეზი დაეთმო ექილ ბარდიგისკის. მაშ ვიდრე ბარდიგისკის სიტყვას გაიცნობდეთ, დაწერილებით მისი ბიოგრაფიის უცოდნელობის მიზეზით, გაგაცნობთ მის

ში ჩასწერეთო. ეს დაუღალავი ორატორი ლაპარაკობდა სულ-მუდამ: ადგომილა—დაჯდომილა. ლაპარაკობდა მაშინაც, როცა სიტყვას ამლეედენ, ლაპარაკობდა მაშინაც, როცა სხვასა ჰქონდა სიტყვა, ლაპარაკობდა მაშინაც, როცა არავინ ყურს არ უგდებდა, ლაპარაკობდა განუწყვეტლივ და გარკვევით მოსმოდან მხოლოდ ეს აზრი: «პროტოკოლში ჩასწერეთ».

ამ საზოგადო ყაყანით გაათავდა 2-ს იენისის კრებას. 3-ს იენისის კრებას მოელოდა უფრო საინტერესო საგანი—მოამეალის წლის ხარჯის დამტკიცება. ეს საგანი მით უფრო საინტერესო იყო, რომ ბანკის მოქმედება ექვს თვეს თითქმის შეჩერებულია და კიდევ ვინ იცის რამდენი ხანი იქნება ბანკი ამ მდგომარეობაში.

ჯერ წაკითხეს პროტოკოლი და დალალული-დაქანცულებმა რევიზიაზედ ლაპარაკით, დამტკიცეს შემდეგ: შესდგეს კომისია შემოხსენებულ პირთაგან, რომელმაც პასუხი მიუგოს მინისტრს მის ქაღალდზედ და

გარეგნობას: ბ. ბარდიგისკი შუა ტანის კაცია ყანგის-უფროს-მერის-კანზე ისპანიული წვეროები უფრო სიმბატობას აძლევენ; ხმა საკმარისი გასაგონი და ყურისთვის სასიამოვნო აქვს, ხნითაც არაა დროული, 40-45 წლის კაცსა ჰგავს და არც პატენტიან ექილებს ეკუთვნის; ადრე სამხედროს ნაწილში უმსახურნია და ახლა კერძო ვეჩილია, გვაროვნობით რუსი უნდა იყოს, ოჯახობით და ექილობის ხელობით შუთაისში სცხოვრებს.

სიტყვა ბარდიგისკის: ბატ. ბარდიგისკი პირველში ირონიით განიმეორე სიტყვები ბატ. პროკურორისა, ესე იგი, ის რომ ვითომც თავისი კლიენტები ბერსის გასაცარცვათ და მოსაკლავათ მოსულიყვენ, ახსნა მოწმებისავე ჩვენებით ამ ცილის წამების უსაფუძვლოება; ბევრხანს ილაპარაკა პოლიციის მაღალ-მნიშვნელობაზე, თუ სახელმწიფოს, თუ ხალხის წინაშე; აგვიწერა სხვა სახელმწიფოების პოლიცია და ისიც, რომ იქ პოლიციაში მსახურებენ ყველაფრით ღირსეულნი, ყველა-ნაირათ განათლებულნი და არა იმისთანანი, როგორც ბერსს შეუტრეკია თავის ინტრიგებისათვის, რომლებმაც უბრალო პროტოკოლების წერაც არ იციან; გააცნო მსაჯულებს ბატ. ბერსის ბიოგრაფია, თუ რისგან და ვისგან განდა ის კაცი და რამ იძულებულ განდა თავის ბათუმში დანიშენის, შემდეგ ამ მეგრელების ხროვისაგან და უმეტარი ხალხისაგან შეედგინა პოლიცია; მერაპიის სახელმწიფოების პოლიციის შეფარდებით, ბათუმის პოლიციისთან საფუძელიანათ აუხსნა მსაჯულებს, თუ რა ნაირი ყურ-მოჭრილი ყმები ყოფილან ბათუმის პოლიციის მოხელეები ბატ. ბერსისა; მსაჯულებს აუწერა ბიოგრაფია თავის კლიენტების, განსაკუთრებით თ. ძოწიასი და აუხსნა, რომ თითონ ბერ-

ამ პასუხის მისაგებლად, როდესაც კი სურს, გადასინჯოს ბანკის საქმეები, თუ ვინცობაა მინისტრმა არ შეიწყნარა ამ კომისიის პასუხი, შესდგეს საგანგებო კრება და მას მოხსენდეს საქმის ყოველივე გარემოება.

ამის შემდეგ შეუდგინენ მოამეალის წლის ხარჯებს. გამგეობამ და ზედამხედველმა კომიტეტმა ამ საგანზედ რამდენიმე აზრი წარმოადგინა. შევლანი იმ აზრისანი იყენენ, რომ ხარჯებს შემცილება უნდა, მაგრამ როგორ და რა გზით?

გამგეობისა და თ. ანტ. ლორთქიფანიძის აზრით ხარჯი უნდა შემციოდეს 2000 მანეთით; ორი წევრი ზედამხედველის კომიტეტისა ი. მესხი და ბეგიძე ამტკიცებენ ამ ხარჯსაც, მესამე წევრი, ლარახველიძე, ამავე კომიტეტისა კიდევ უფრო ამტკიცებს.

გამგეობა აცხადებს, რომ პირველის ივლისიდან აღარ იქნებინან აგენტები არც თბილისში, არც პეტერბურგში. ზედამხედველის კომიტეტის წევრის ლარახველიძის აზრი უფრო მოეწონა კრებას.

სია მიზნები ძოწიას ურიგო ცხოვრებისა, რომ იმან იწუამდგომლა მთავრობასთან და 17 წლის ყრმას ჩაბარეს სოტნა, თუმც ამას თავისი ბეშობით თუ რითაც თავის გაიტანა და არ ყოფილა შემჩნეული ხარობაში იმათთან, ვინც 15 კაბ. ანგარიშშიც კი სხნაკავს, ირონიით ახსნა ბერსის ცილის-წამება ძოწიასგან გაცარცვის თაობაზე. მამწარებული სიტყვებით მოიხსენა ბერსის სულ-მდაბლობა, მისი გამომძიებელისათვის ნათქვამი შემდეგი სიტყვებისთვის XX. რასაკვირველია, ყველა ამის შემდეგ მე უნდა უარი მეტქვა მრისთავისთვის, მაგრამ იცით რას გეტყვით! რომელი ჩვენგანი არ ვაძლევთ ხელს და არ ვუმასპინძლდებით მომეტებულს და თითქმის ყველას „ИЗЪ ТУЗЕМНАГО ОБЩЕСТВА“ (აქ ბერსი გულისხმობს ქართველობას) და კიდევ მიგდივართ იმათ ოჯახებში! „Между тѣмъ, кому не извѣстно, что около половины изъ нихъ состоятъ подъ судомъ или слѣдствіемъ за разныя уголовныя преступленія“.

ამაზედ გაახსენა მსაჯულებს ის ნემსები, რომლებიც მოდიან ჩვენ სამშობლოში იკვებებიან, მდიდრდებიან და როცა ბრუნდებიან თავიანთ ქვეყანაში მაშინ მხოლოდ ბედავენ შორიდან ჩვენს გინებასა! ბი სწორედ ამ ხალხის კატეგორიას ეკუთვნის ეს ბერსიცო. ამ თავისგან გაღანძლულ ქვეყანაში და ხალხში მოითქვა სული, დაწინაურდა, ამით წყალობით საქმეებში გაიძლო კუჭი, შეიძინა სიმდიდრე და ყველაფრით გამარჯვებული, რომ ვერ მიდის კალბანს იკვირებო შორიდან იღანძლებო, (ზოგან ტაში და ჩუმი ბრაო, ბრაო) ბარდივესკის ძალიან უკვირს, რისათვის გამოძიების დროს ერთი სიტყვაც არ უკითხავს ბერსის ცოლისთვის, როდესაც ამ დრამის უპირვე-

დასასველადის აზრი. იქნება ჩვენი ბანკი ერთი წელიწადი კიდევ დახურული იყოს. ტყუილად ხარჯი რად გავწიოთ. ჩემს სიტყვებს ნურავინ პირადად ნუ მიიღებს და თუნდ ესეც იყოს, მე დარწმუნებული ვარ ჩვენში არც ერთი პატიოსანი პირი არ იკადრებს უშრომლად საზოგადოების ფულის ჯიბეში ჩადებას; ჩვენ ყველანი მოვალენი ვართ ბანკს ხარჯი შეუმციროთ, რომ უფრო მომეტებული ფული დარჩეს ჩვენს შვილების აღსაზღვლად. ამის გამო მე მგონია, კარგი იქნებოდა ჯერ-ჯერობით ვაუქმდეს კასირის ადგილი და ერთერთმა დირექტორმა იკისროს ამ თანამდებობის ასრულება; ვაუქმდეს აგრეთვე ბუხვალტერის ერთის თანამემწეს ადგილი. შვილის დამფასებლიდამ ოთხი სრულიად დავითხოვოთ, სამი მოვიწვიოთ ხოლმე, როდესაც საჭირო იქნება და სათითოჯერო ფული ვაძლიოთ (ძლიერი ბრაო.)

დასასველადის ლამაზად ნათქვამმა სიტყვამ საზოგადოებაში მღელვარება ჩამოაგდო. უცრად ზალაში რაღაცამ დიდი ბრახუნნი მოიღო. მართ-

ლესი მომქმედი პირი არის. ბარდივესკიმ ბერსის სახლი გამოხატა სამარ ქალაქათ, სადაც რამოდენ პოზიციებათ დაყოფილს, ბაბუნას, შალავას, ბევენავას, სურგულაძის, ჯაიანის და შაქარ-ალის ატრიადებს სამართ პოზიციას აბარებს, პირველ პოზიციას კუხნას ბატ. ბერსისას ღებულობს იმ შალავას ატრიადი, რომელ შალავას ამ საქმეში გარევის არაფერი საქმე იყო და ბარდივესკის ჩვენებით «აი იქაო» თითის გაშვებით საპრობილე უჩვენა «იქ, იქ არისო» (შალავა საპრობილის ზედამხედველია) ეს ის მეომარი შალავა გახლდათ, რომელმაც ბერსის წყალობით სამსახურში დაწინაურებულმა უარი არ უთხრა მეცამეტე გოჭის როლი ეთამაშა ამ საქმეშიო, მაგრამ კუხნაში დაძინებით დაავიწყებინა თავის თანამდებობის აღსრულებაო. თუმც არ წითლდება იმისთანა სიცრუისთვის, რომ გვაჯერებს ვითომც ძოწიას მაგისათვის ეთქვას «ბერსის მოკვლა მინდოდა მაგრამ ვერ მოვკალიო», ბარდივესკიმ უთხრა მსაჯულებს: ბატონებო რა მნიშვნელობა შეიძლება მივცეთ იმ ღირსეული კაცების ჩვენებას, რომლებიც ბერსთან სხვა-და-სხვა გარემოების წყალობით მისი ერთი დასტვენით ყველამ თავის სოროდამ გამოძერა და მზათ იყვნენ ბერსის გულისათვის კაცებიც მოვკლათ და თითონაც მომკვდარიყვნენ! მაშ რად გავიკვირდება, რომ ამისთანა ხალხმა რითაც შეეძლებათ სიცრუე ილაპარაკონ ბერსის ნამდვილი განზრახვის დასაფარავად, თუ მათ სიცრუეს თავიანთი სიტყვები აჩვენენ და ერთი მეორის სიტყვით ირღვევა. პოლიციის უხეირობას მართო თავიანთი მოქმედებით და სიცრუით არ მოგახსენებთ და არც იმას, რომ მართო ჩემი აზრი იყოს დანარჩენ მოხელეებზე ვითომც

გრძელი სკამი წაქცეულიყო და მასზედ მსხდომნი დაფორიაქებულიყვნენ. მილაცამ იმხვნილა: ღარახველიძის სიტყვებზედ დამფასებლებს გული წაუვიდათ!

კარ. ღორთქიფანძე. მე დროებითს მდგომარეობას არ მივიღებ სახეში და ვიტყვი, რომ არას დროს ჩვენთვის შეიძლი დამფასებელი საჭირო არ იქნება. ნუ ვიხელმძღვანელებთ ნათესაობით, სამი დამფასებელი კმარა. ბანკს ხუთის მილიონის გაცემის ნება აქვს მხოლოდ და ოთხზედ მეტი გაცემულია. როცა სულ გაცემის ბანკი, მაშინ ბევრი დამფასებლები რაღა საჭირონი იქნებიან. მეც ღარახველიძის აზრისა ვარ, მაგრამ დირექტორისა და კასირის თანამდებობის ერთად მოთავსება არ იქნება. დირექტორი მძძანებელია, კასირი აღმასრულებელი და ვაითუ, ეს ორი თანამდებობა ერთს ხელში რომ მოთავსდეს, ფულებში ხელების რევის დროს, ხელს გადაჰყვეს რამე (ხალხში სიცოლია), მაშინ რაღა ექნათ. ამას გარდა, რახან ჯამაგირების შემცირებაზედ ჩამოვარდა ლაპარაკი, მოვი-

ისინი მეცამეტე გოჭის როლს თამაშობდენ ამ საქმეში, ამას მოგვიტხრობდენ თვით ღირს შესანიშნავნი პატივემუღნი პირნი თ. ნიკო მრის-თავი იმ დროს მართველი ბათუმის ოლქისა და ბათუმის მაზრის უფროსი ბატ. სტეფანოვი, რომლებსაც არ შეგვიძლია არ დაუჯეროთ და არ მივცეთ უპირველესი ადგილი მათ ჩვენებასა. ბარდივესკიმ, რუსეთის საუკეთესო იურისტების აზრით დი გახსენებით ნაპოლეონის ძოდესის და პრომის კანონ-მდებლობის შინაარსით აუხსნა მსაჯულებს ჩვენი რუსეთის ზოგიერთი სასჯელთა ზედა წესდების მუხლების უაზრობა და უსაფუძვლობა, რომლებიც ერთ და იმავე ნაირად იცავენ იურიდიულ უფლებების მქონებს და იურიდიულ უფლებებს მოკლებულ ესე იგი უსულო საგნებს. ამითი დაარღვია პროკურორის ის მოთხოვნილება, რომლისათვისაც ძოწიას დასჯას თხოულობდა უსულო საგნებზე ტყეის სროლისთვის; ბოლოს ბარდივესკიმ მსაჯულებს უთხრა: დღეს დამწავეთ სკამზე ჩემი კლიენტები კი არ უნდა იჯდნენ არამედ უნდა იჯდნენ თვითონ ამ საქმის მომქმედნი და მათი სარდალი ბერსი. ბი რისათვის: ძოწიას ჰყვარებია როგორც ახლად აწურულ შნოიან ყრმას ლამაზი ქალი—ცოლი ბერსისა, არც ლამაზ შატას სძულებია ძოწია, ამაზე ეჭვალეული ბერსი თავის უბედურებაში რწმუნდება ძოწიას მიწერილი წიგნის ხელში ჩაგდებათ, პირველში ეჭვის დროს სახლიდან ითხოვს და ბოლოს მის მოკვლას განიზრახავს და განიზრახავს იმისთვის, რომ ბერსს თავისი ვაებით და ათასი ინტრიგებით შეყრილი ორიოდ გროში ჩაუყრიდა ბათუმის შეძენილ მამულში და ეს მამული, რომ მთავრობას სხვანაირ შეძენილათ არ მიეღო ბერსი ამ მამულს

ხოვთ, რომ პროცენტებს ნულარავინ იღებს. დირექტორებმა ოც-ოც-და-ათი თუმანი ჯამაგირები მოიკლეს და მოწყალეებასავით მოგვეცეს, ჩვენ მოწყალეება არ გვინდა. ჩვენ ხვალინდელი ქათამი გვიჩვენებენ დღევანდელ კვერცხს. მე სამასი მანეთი, ეგ კვერცხი მაგათი იყოს, ჩვენ ის ქათამი გვინდა, პროცენტებს რომ უძახიან. წესდების ძალით ჩვენ პროცენტებს ვერ შევჩვენებთ, მაგრამ თითონ დავითმონ, უარი სთქვან. მათამი ჩვენ მოგვეცენ და კვერცხს მივართმევთ. (ხალხში სიცოლი).

დასასველადი. არც ერთი პროცენტზე უარს არ იტყვის და არც ჩვენა გვაქვს მოსაზობის ნება; ტყუილად თავს რად იწუხებთ.

ამ სიტყვების შემდეგ ასტყდა საშინელი არეულობა. ჰეგლანი ლაპარაკობდენ და არავინ არავის ყურს არ უგდებდა. «ღარჩეს», «მოაკლდეს» ზედი-ზედ ისმოდა ხალხში. ამ დროს მოისმა ტროიკის ზარის ხმა. შეშინებულ წევრთ წარმოიდგინეს, რომ ეს იმ ტროიკის ზარია, რომელმაც მინისტრის რევიზორი უნდა მოიყვა-

ამტოცებს თავის ცოლზე. მამწარებული ბერსი ეჭვის წიგნით დაწვრილარჩება ამ ქვეყანაში და აპირებს გადასვლას რუსეთში. ამ დროს ლამაზი შატი, უარს ეუბნება რუსეთში წაყოლას, და ამით ბერს ის დასკვნა გამოჰყავს, რომ ცოლი მამულსაც აღარ დაანებებს და ცოლსაც ძოწია წაართმევს. ბერსი ამ უბედურებაში მყოფი განიზრახავს ძოწიას სამუდამოთ თავიდან მოშორებას და რაცა ხედება ამისთანა მშვენიერ შემთხვევას, რომ ძოწიასაც განუზრახავს მისი ცოლის მის სახლშივე ნახვას ამ დროს ბეგენავას და მაგუას საშუალებით მოინდომებს აწერილი დაგებული მახის წყალობით ძოწია სასიკვდილოთ მახეში გააბას და რომ ბერსმა ერთ და იმავე დროს თავის თავიც მახეში არ გააბას, რომ არ უთხრან თუ შენ რა უფლებით პოლიციის ძალას შენი ინტრიგების და შენი შინაურის საქმეების დასაცველათ ხმარობდი ამ დროს თავისი ყურ-მოჭრილი ყმების შედგენილი კონგრესით გადასწყვეტენ, რომ სთქვან: ჩვენ საშიშარი ყაჩაღების ძაკლო-ოღლებს დაჭერა გვინდოდაო და არა ძოწიას მოკვლაო; ბარდივესკიმ ყველა ამ საგნებზე თავის გძელ სიტყვაში, რომელიც დაბოლოვა სრულ ოთხ და ერთ მეოთხედ საათში ყოველ კუთხიდან ახსნა ამ საგნების სინამდვილე და იმათ მხრით სიყალბე, ბევრნაირათ გაშინჯა და შეეხრა ამ საქმეს ბარდივესკი; იმან თავის ბოლო სიტყვებში არ მოითხოვა, რომ თავის კლიენტები გაენთავისუფლებინათ «ამას მივანდობ თვით მართლ მსაჯულებსაო»; მე ჩემი კლიენტები ყველანაირათ მართალი მგონია და არ შემიძლია ვიფიქრო გამატყუროს ჩემი კლიენტები იმ მართლ მსაჯულებამ, რომლებსთვისაც უმაღლესათ ნაბრძანებია «სჯობს ათი დამწავის გამართლება,

ნოს. მოსტყუედენ, ეს ზარი თავმჯდომარეს მოეტანინებინა და იმის ხმით აპირებდა კრების დასტრომას. ძრება დასტხრა მხოლოდ მაშინ, როცა თავმჯდომარემ მოიკრიბა ხმა და წარმოსთქვა, რაც უნდა სთქვათ, მაინც უტენქოდ არ იქნებაო; შემოატანინა ორი ყუთი და შემდეგი ორი კითხვა დაადგინა: დარჩეს გამგეობის ჯამაგირი უკლებლივ, თუ მოაკლდეს? მეორე კითხვაც ამ გვარი იყო და დირექტორებს შეეხებოდა.

ძრებამ კენჭის ყრით გადასწყვიტა, რომ ჯამაგირები უკლებლივ დარჩეთ გამგეობის წევრთა.

P. S. ამით გათავდა მ იენისის კრება. შემდეგს კრებებზედ მე აღარ დავრჩენილვარ და მკითხველი ჩვენის კორესპონდენტის ანგარიშს წაიკითხავს მათ შესახებ. მეტად გაგძელდა ეს ფელტონი, რომ მკითხველისათვის ქუთათურ კრების შთაბეჭდილება გარდამეცა. ეს სამეგრეოდ დარჩეს.



ენიმც ერთი მართლის გამტყუნება.

დაბოლოვდა სიტყვა გარდევსკიმ თუ არა, ღრმა ფიქრში წასულმა მათემატიკებმა ერთხმით იგრიადეს და თანაგრძობის ნიშნით აღტაცებული ტაში დაუკრეს... ამანე თავმჯდომარემ გაახსენა მათემატიკებს, რომ თავი შეიკავონ და შეუძლიან სხვაგან გამოუცხადონ ამ ნაირი თანაგრძობა, სამსახულოს წინაშე ამნაირი ხალხის თანაგრძობა უწყობა არისო. რა ყველა დაწყნარდა წამოდგა პროკურორი და ეს მათემატიკების აღვლევული თანაგრძობა პოლიციის პროტესტი ეგონა და მსაჯულოების წინაშე პროტესტი გააცხადა ბარდევსკიზე, რომ ეგ ერთობ თამამათ ეხება პოლიციას, როდესაც არავის არა აქვს ნება შეეხოს იმით მოქმედებას, იმათი მოქმედება კანონიერია თუ უკანონო ეგ მსაჯულების გარდასაწყვეტია და არა იმნაირი სიტყვებით ლანძღვაო. მაჯაერებული ბატ. პროკურორი ზოგიერთა მოწმების დასახელებით და იმათი ჩვენების გახსენებით მტკიცეთ თხოულობდა თავის პირვანდელი თხოვნის დამტკიცებას ბრალდებულთ დასჯისათვის. ამის შემდეგ კიდევ წამოდგა ბ. ბარდევსკი და დაღალულ-დაქანცულმა დამშვიდებული ხმით უთხრა მსაჯულებს: ბატ. პროკურორის უადგილოთ გაწყრომა და თავის მხრითაც მოწმების ჩვენებების დასახელებით მეტათ ჰგონია ბატ. ბარდევსკის ბატ. პროკურორის უკანასკნელის სიტყვა.

თამჯდომარემ ნება მისცა ბრალდებულთ უკანასკნელი სიტყვის თქმისა, ამისთვის რეჯებ შამიკ-ოღლიმ გახსენებით საქმის დასაწყისისა დაბოლოვებამდე ბევრხანს ელაპარაკა უსაჭირო საგნებზე, ამის პატარა ძმამ უარი განაცხადა რომ ის სათქმელათ. თ. ძაწია მარდათ წამოხტა და განიმეორა თავის პირველი სიტყვები და დაუმატა, რომ მოწამე ქალმა ის იტრუა ვითომც ფატის მე აკოშვიდან მივედგო, იმ შემთხვევაში მე ფატი აჭარის წყალზე განთიადისას უნდა წამეყვანა თ. ღონდუკოვ-ძორსაკოვის შესახვედრათო, (ზოგბრთ ადგილის სიცილი და ფურთული) და ამის მიხეზით მე იმ ღამეს უღროთ მისული იმასთან დავრჩიო, ბოლოს ძაწიამ თამამად სთქვა: შეიძლება ბატონებო მე ბერსთან რაიმე დანაშაული მიმიძლოდეს და დამნაშავე ვიყო, მაგრამ (ხელი გაღმვირა მოწმების სკამზე) ამ ჯავლაგ და საძაგელ მეგრელებთან არაფერი დანაშაულობა არა მაქვს, რომლებმაც ასე უწყალოთ გამაბეს მახეში მხოლოთ იმისათვის, რომ როგორც მოწამე თ. ნ. მრისთავმა და ბატ. სტეფანოვმაც მოგახსენათ, — ბათუმში მეგრელებს ბურულების წინააღმდეგ სიმამაცე გამოეჩინათ და უპირატესობა მიეღოთ. აი რა იყო მაგენის ბრძოლა ღონკიხობტებივით ჩემს წინააღმდეგ!.. თავ-

მჯდომარემ შენიშნა ძაწიას, რომ იმან სალანძლი სიტყვები არ იხმაროს თავის სიტყვაში. ბათავა ძაწიამ თავისი უკანასკნელი სიტყვა თუ არა თავმჯდომარემ სხდომის დახურვა გამოაცხადა და გამოაცხადა განიხილება ხვალ იქმნებაო, ხალხი აღვლევული წამოიშალა და გულ-დაწყვეტილები ზოგიც მამაცათ ემშვიდობებიან ბრალდებულთ, მოხუცი მამა და პატარა ძმა ძაწიასი ტირილით ემშვიდობებიან ძაწიას.

ლ. უფელი.
ბათუმი 30 მაის.
(შემდეგი იქნება)

განსხადებანი

თბილისის თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა ამით აცხადებს, რომ სიცხეების გამო 10 ივნისიდან 1 სექტემბრამდე ამ წლისა ბანკი გახსნილი იქნება ყოველ დღე დილის 9 საათიდან მხოლოდ 1 საათამდე შუადღის უკან. (1—1)

იავად ისპილება:

საზაფხულო წამოსასხამები 4 მ. 5000 ბროლის სტაქები 25 კ. თითო. 600 დანა-ჩანგლის დასადები 10 კ., 3000 ოზმა ფოსტის ქალაღლი 1 მ. 20 კ. დიდ ძალი ჩაი 1 მოკრეფისა 1 მ. ნამდვილი ფუ-ჩე-ფუ 2 მ. გარვ. და ბროლის გრაფინკები ინგლისის მალაზიაში. (10—4)

შვალღეს კურსეზაღ.

მოსწავლე ქალი ეძებს ზაუზულის განმომავლობაში გაკვეთილებს თბილისში.
მოიზავეტინსკის ქუჩა სახლი № 78. (8—3)

ინგლისის მალაზია

Maison de confiance

შვადრეთ ჩვენი ჩაი	მოსკოვის ჩაის
1 მ. 10 კ.	1 მ. 40 კ.
— — 1—20	— — 1—60
— — 1—40	— — 1—80
— — 1—60	— — 2—
— — 1—80	— — 2—50
საუკეთესო 2—	— — 3—

იქვე ისუიდება სხვა საქონელიც: თაფლები, რეკლავებები, გროტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასადებები, დახები, გოვზები, ტაშტები, კაღები, ქაღალდი, შოკოლადი, კაგაო, კანფეტები, მურაბები, მაგუნია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—გაწის და ქაღის, სელ-სახეცები, მაკინტოშინ კაღეგორი—სულ ეკლავური 25-დან 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქაღაქს გარედა 25 მანეთიდან 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნის ანაფერს არ ისდაის. (100—88)

ინგლისის მალაზიაში

თირს-აომაჰანი



ამაგრებს თმს და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუში-სა 2 მან., გავზავნი 2 მანეთი და 28 კაპ.


(100—86)

იქვე ისუიდება ქინის ზომად თმების გასამაგრებლად, ფასი 1 მან. სსოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუაღეტის სპონი, ღუსები და სსვ.

უკალერეტი

აუარებელი და ისუიდება ქარხნის ფასებით ქმათა ტარნოპოლების ქარხნის ადვისის საწყობში ლორის-მელიქოვის ქუჩა, სახ. ზუბალოვისა სასულიერო სემინარიის პირ-და-პირ. სარდათ შეიდეგლთ დაეთმობათ. (40—18)

საკლობუსო




კაღმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთო ქაღალდი. ერთადერთი სასაგეტო—ინგლისის მალაზია. იქვე აუარებული სხვა-და-სხვა გერისა კაღმები, ყოველს „სელისათვის“—25% იაფად, ვინც სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანფეტები, რეკლავები, ღაქი, კარანდაში, პენალი, კაღმები, ბუმიუნები, ზორტ-სიგარები, ალბომები, რამები, მაკრატლები, სამართლები, სანთელი, სალესი, ცარაშები ჭურჭლების საწმედად (ბორაკსი), თეთრუფისათვის, პატარა ხალები იატაკისათვის კლიონკები. ტასტები, სავარდლები, სარკები, სავარცხლები, ბეზმენი, ზარები, ბინკლები რეკლავები, ვატერპასები, მზის-სათები, კომპასები, ტრამომეტრები, ტეწები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტყლები. საყუდური, პრობები, სპრობები, კარნები, ჭილტრები, შორტები თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტისანი მაკინტოშები, კრატები, საეჭიო ქაღალდი კატერ-გლოზეტისათვის და სსვ. და სსვ.

პატაშკი—20 კ. (100—24)

ინგლისური ჩინის ქრამოტები



ერთ საწოლანნი 8 მ. და ორ საწოლანნი 14 მ., ღებები გატენილი ზღვის ბალანით 5-დგან—9 მან. ინგლისურს მალაზიაში. იქვე ისუიდება 25% იაფათ სანამ სხვაგან სადმე: ჭურჭელი, დანა-ჩანგალი, გოვზები, ფადრსები, კლიტები, საფანგები, რკინის კაღმები, ქაღალდი, ნიშები, რეკლავები, თაფები, კაწისა და ქაღის უნაგირები, ალბომები, კლეონკები, ჩაი 1-ღის ხარისხისა. (100—73)

მაზანდა

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თბილისის ბაზრებში, ღუქნებში და ღატარებით 1 თიბათვი-დამ 15 თიბათვემდის.

გამომცხვარი ზური ხობლდის ფქვილის:

პირველის ხარისხის—1 გირ.	5 1/2
მეორის — — 1 გ.	4
იმავე ფქვილ. თორნიში გამომცხვარი:	
პირველის ხარისხის—1 გ.	5 1/2
მეორის — — 1 გ.	4 1/2
ჯვარის-მამის ზური:	
პირველი ხარის. ღავაში 1 გ.	5 1/2
მეორის ხარის. ღავაში 1 გ.	4 1/2

რკინის გზა

თბილისიდან ქუთაისისკენ მიდის 9 საათზედ და 46 წამ. დილით.

თბილისიდან ხაშურამდინ 2 საათ. და 54 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდან ბაქოსკენ 1 საათზედ და 1 წამ. ღამისა.

ბაქოდგან თბილისისკენ 9 საათზედ დილისა.

რირნიდგან თბილისისკენ 2 საათზედ და 30 წამ. ნაშუადღევს.

ბათუმიდგან თბილისისკენ 9 საათ. დილისა.

ფოთიდგან თბილისისკენ 9 საათ. და 41 წამ. დილისა.

ფოთიდან ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის 12 საათზედ ღამისა.

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში 8 საათ. და 46 წამ. დილისა.